ცნობის ფურცელი

№ 1844 პარასკევი, 21 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1844

ხაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვახქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

თავ. დიმიტრი ასლანის ძე, თავ. გრიგოლ, სვიმონ და ალექსანდრე დიმიტრის ძენი წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ძვირფასის ქალისა, ხოლო დანარჩენნი—დისა

კნ. ნინო დიმიტრის ასულის წერეთლისას

და ითხოვენ მობრძანდნენ კვირას, 23 ივნის, დილის 9 საათზე, დაბა საჩხერეში განსვენებულის დასაფლავებაზე დასასწრებლად. (1—1)

დამწუხრებული ძმები: მირიან, ალექსი, იაკინთე, სოლომონ და იგორ გაბრიელის ძენი, ბოლქვაძეები აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი არის დანიშნული 29 თიბათვეს, მიქელ გაბრიელის მთავარანგელოზის ეკკლესიაში, სოფელ მიქელ გაბრიელში, უდროვოდ გარდაცვალებულის ძმის

თეოფილე გაბრიელის ძე ბოლქვაძის

სულის მოსახსენებლად. (2—344—1)

აზნაური ჯიბო ზურაბის ძე, ვლადიმირ ჯიბოს ძე და ილია ვლადიმირის ძე წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას, პირველნი—რძლისას, ხოლო უკანასკნელი—საყვარელი მეუღლისას თვისისა

ლიზა სოლომონ წერეთლის ასულისა,

რომლის გასვენება არის დანიშნული ამა ივნისის 23 კვირას, დილის ცხრა საათზე. ს. ცეცხში, შორაპნის მაზრაში. (2—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მიხეილ ზიდევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—ქალთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—ქალ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

პ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^{1}/_{2}$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნ. ფურცლის“ და ჟურნალ „მოამბის“ ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ ხვედრი ფულის გამოგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ივლისიდან გაზეთ-ჟურნალი აღარ გაეგზავნებათ მათ, ვინც არ შემოიტანს ხვედრ ფულს.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

ალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ასსისტენტი

ექიმი

ა. ი. ბალარჯაშვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილ ავადმყოფთ. (15—10)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

მდგომარე წლის 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ამხანაგობის სადგომში (ვანქის ქუჩაზე) **დანიშნულია მორიგი კრება**

წიგნების გამომცემელ

ქართველთა ამხანაგობისა

განსახილველია:

1. წარსული წლების ანგარიშები.
2. კითხვა პირობის მე-4 და 6 მუხლთა შესახებ.
3. კითხვა პირობის მე-10 მუხლის ზოგიერთ ადგილების შესახებ და აგრეთვე მდივნის თანამდებობის შესახებ.
4. არჩევა სარევიზიო კომისიისა.

მხოლოდ იმ წევრთ შეუძლიანთ კრებაზე დასწრება, ვისაც ამხანაგობის პაი თავის სახელზე აქვთ.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ედუარდ მეშვიდეს გვირგვინის კურთხევა, რომელსაც მთელი ინგლისი მოუთმენლად მოელოდა, გადადებულ იქმნა მეფის ავადმყოფობის გამო. მოგვყავს შემდეგი ცნობები იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მოახდინა გადადების გამოცხადებამ.

შეუძლებელია აწერა იმ განცვიფრებისა და მწუხარების, რომელიც გამოიწვია ლონდონის მცხოვრებთა შორის მეფის მძიმე ავადმყოფობის და დაგვირგვინების გადადების შეტყობამ. პირველად მიზეზი აღელვებისა იყო უმთავრესი გაზეთების წარმომადგენლების უეცარი მოწვევა ბუკინჰეიმის სასახლეში, სადაც მეფის პირადმა მდივანმა გადასცა მათ ექიმების ხელ-მოწერილი ბიულეტენი; შემდეგ ეს ამბავი აცნობა ქვედა პალატას და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებს, და მოკლე ხანში მთელ ლონდონს მოედო ტელეგრაფის და ტელეფონის საშუალებით. პირველის ნახევარზე,—ამბობს ერთი კორესპონდენტი,—მე ვიყავი ერთის ნაცნობ ბანკირის კანტორაში, სიტიში. ყმაწვილი კაცი, რომელიც ტელეგრაფის აპარატთან იჯდა და ბირჟიდან დეპეშას იღებდა, უეცრად წამოხტა და შეჰყვირა: „დაგვირგვინების დღე გადაუდვიათ! მეფე ავად არის!“ და იმავე დროს ყველა ბანკების კანტორებში გაისმა იგივე სიტყვები. ბირჟას ახლო-მახლო ქუჩებში დარბოდნენ მაკლერები და ბანკის მოხელეები და ერთმანეთს ატყობინებდნენ სამწუხარო ახალ ამბავს. უფრო დაშორებულ ქუჩებში კი მხიარული ბრბო, რომელმაც ჯერ არ იცოდა ახალი ამბავი, მიდი-მოდიოდა და შეჰყურებდა სადღესასწაულოდ მორთულ ბანკების სასახლეებს. სავსე ომნიბუსები განუწყვეტლივ მისდევდნენ ერთი მეორეს. მაგრამ აი გამოჩნდა მთელი გროვა ბიჭებისა, რომელთაც ხელთ ეჭირათ სხვა-და-სხვა ფერის გაზეთების დამატებები. მათზე სხვილი ასოებით ეწერა: „დაგვირგვინების დღე გადადებულ იქმნა. მეფე ავად არის.“ განცვიფრებული ხალხი იტაცებს ამ ფურცლებს და რწმუნდება, რომ სამწუხარო ამბავი მართალია. გარშემო კი კიდევ ისმის დურგლების გაფაციცებული ჩაქუჩის ცემა,—ეშურებიან, რომ მალე დაამთავრონ სადღესასწაულო მორთულობა. წინა დღით სულ უკანასკნელი ადგილი 20 მანეთი ღირდა და ცოტა ხეირიანი ფანჯარა 350—500 მანეთი. ამბობენ, ვიღამაც ათი ათასი მანეთი ქირა მისცა ერთ ბალკონში. სასტუმროს ოთახები ორი კვირის წინ იყვნენ გაქირავებულნი. ბირჟაზე ამ ამბვის შეტყობისათანავე კურსმა დაიწია. ხის ფანჩატურების უმეტესი ნაწილი, რომელნიც მაყურებელთათვის იყო დამზადებული, დაზღვეული იყო, იმ შემთხვევისათვის, თუ დაგვირგვინების დღე გადიდებოდა. ლლოიდის დამზღვეველ საზოგადოებას საშინელი ზარალი მოუვიდა. ლონდონის საბჭოში სწორედ მაშინ აცნობეს ეს ამბავი, როდესაც შერიფების და ოლდერმანების არჩევანს უნდა შესდგომოდნენ. კრებამ მაშინვე მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმული იყო მწუხარება მეფის ავადმყოფობის გამო და სურვილი მალე კარგად გახდომისა. გადაწყვეტილ იქმნა, შეაყენონ სადღესასწაულო მზადებანი და მუშებს მაშინვე ებრძანათ აელაგებინათ საბჭოს სასახლის მორთულობანი. მიიღო თუ არა პარლამენტმა ამბავი, მაშინვე გადასწყვიტეს, ნუღარ დავიშლებით საზაფხულოდ, როგორც უკვე გარდაწყვეტილი იყო მეფის დაგვირგვინების გამო. ხმა დადის, რომ მინისტრთა საბჭოს სჯა ჰქონდა იმის შესახებ, არ შეიძლება რომ მეფემ გვირგვინი ოთახში დაიდგას და დღესასწაული აღარ გადიდვასო. მაგრამ ეს მოსაზრება უარ-ჰყვეს. როგორც ამგვარ შემთხვევაში აციან, ამბობენ, ვიღაც ბოშამ უწინასწარმეტყველა ედუარდ მეშვიდეს, შენ გვირგვინის დადგმას ვერ ეღირსებიო.

შეერთებული შტატები. წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა სენატის მიერ უკვე მიღებული კანონ-პროექტი ანარხიზმის წინააღმდეგ. კანონის ძალით, წინად განზრახული მკვლელობა რესპუბლიკის პრეზიდენტისა, ვიცე-პრეზიდენტისა, მინისტრისა ან უცხოელ ელჩისა დაისჯება სიკვდილით. დასახელებულ პირთა მოკვლის ცდა, თუ მას სასიკვდილო ჭრილობა მოჰყვა, დაისჯება სამუდამო დაპატიმრებით, და თუ ჭრილობა სასიკვდილო არ არის, არა ნაკლებ ხუთის წლით დაპატიმრებით; მკვლელის წამქეზებელნი და დამხმარებელნი იმავე სასჯელით დაისჯებიან, როგორც თვით მკვლელი. ვინც მკვლელს დამალავს, ან მას გაქცევას უშველის, დაპატიმრებულ იქმნება 1-დან 25 წლამდე. უცხოელ მეფეთა და პრეზიდენტთა მოკვლის ცდისთვის იმგვარადვე დაისჯებიან, როგორც ამერიკის პრეზიდენტისა! წამქეზებელთ და დამხმარებელთაც იგივე სასჯელი მოელის. ახალი კანონი უკრძალავს შეერთებულ შტატებში შემოსვლას ყველა იმ პირთ, ვინც ცხადად აღიარებენ ანარხისტების დოქტრინას და, თუ ეს პირნი უკვე რესპუბლიკაში იმყოფებიან, უნდა დაუყოვნებლივ განდევნილ იქმნან. ვინც უცხოელ ანარხისტებს დაეხმარება შეერთებულ შტატების ტერრიტორიაში შემოსვლას, მას გადახდება ჯარიმა და დაპატიმრებულ იქნება ხუთ წლამდე.

იაპონია. ჩინეთის ელჩის სიკვდილს, რომელიც პეტერბურგში იყო წარმომადგენლად და რომელიც უეცრივ გარდაიცვალა, ერთი იაპონელი გაზეთი მეტად ეჭვში შეუყვანია. იგი სწერს: რა თვალითაც უნდა შევხედოთ ამ საქმეს, ჩინეთის ელჩის სიკვდილი მაინც რაღაც საეჭვოა. აუცილებლად საჭიროა სასტიკი გამოძიება ამ ბნელი საქმისა და მისი სრული საქვეყნოდ გახმიანება. თუ ეს ასე არ მოხდება, რასაკვირველია, არც ერთი ელჩი დღეიდან არას დროს არ დათანხმდება პეტერბურგში ელჩობაზე.

ახალი ამბავი

✦ **პარიზიდან** გვწერენ: ევროპაში ჩვენს ისტორიას, განსაკუთრებით საეკკლესიოს, თან-და-თან მეტს ყურადღებას აქცევენ. ამ მხრივ დიდს სამსახურს გვიწევს არქეოლოგოსი ბ-ნი ბარონ დე-ბაი. მისის რჩევით, აქაური სწავლული აბატი ბონიე, წევრი საფრანგეთის სიძველეთა საზოგადოებისა, გულ-მოდგინედ შეუდგა წმ. ნინოს იკონოგრაფიის შესწავლას და საჭირო მასალის შეგროვებას. ეს შრომა ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება პარიზში.

✦ სატახტო ქალაქის გაზეთებში ვკითხულობთ: „მიწათ-მოქმედების სამინისტროში

ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ პოლონეთის გუბერნიების მცხოვრებნი, ამერიკის ნაცვლად, სადაც ისინი მიდიან საცხოვრებლად, **ამიერ-კავკასიის სახაზინო მიწებზედ დაასახლონ.** ამისათვის გადიდებულ იქმნა ის დასი, რომელიც გადასახლებულთათვის მიწებს ამზადებს. როდესაც ფული იქმნება გადადებული, გამმიჯვნელთა ახალი დასი გაიგზავნება“.

◆ „კავკაზს“ შეუტყვია, რომ ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქტორ-გამომცემელს ბ-ნ ივ. როსტომაშვილს ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარმა სამმართველომ ნება დართო **გააფართოვოს ჟურნალის პროგრამა.** შეუძლიან ეხლა ბეჭდოს ჟურნალში „წერილები შესახებ სოფლის მეურნეობისა, მეოჯახობისა, ხელოსნობისა, ვაჭრობისა, მრეწველობისა, ხელოვნებისა, პოპულიარულ ექიმობისა, ჰიგიენისა, ბავშვთა აღზრდისა და სამეცნიერო აღმოჩენათა და გამოგონებათა“,—მხატვრობით.

◆ იგივე გაზეთი გადმოგვცემს, რომ ბეჭდვითი სიტყვის უმთავრესს სამმართველოს ნებართვით **გაზეთ „ტელეფონის“, რომელიც ამ ჟამად ტფილისში გამოდის, გამოცემის უფლება** გადავიდა სამოქალაქო ინჟენერის ნ. ა. გრიქუროვის საკუთრებად.

◆ დღეს, 21 ივნისს, **ტფილისის საბჭოს სხდომაზედ** განსახილველად დანიშნულია 23 საქმე. ქალაქის მოურავის მოადგილე სთხოვს ხმოსნებს უსათუოდ დანიშნულ დროზედ ($8^1/_2$ ს.) მოვიდნენ, რათა ამ სხდომაზედ მოესწროს ყველა საქმის განხილვა, რადგან იგი უკანასკნელია.

◆ ტფილისის საბჭოს ექიმს შჩერბინინას პოლიციის მე-6 და მე-7 ნაწილებში დაუთვალიერებია **საპნის ქარხნები,** რომელთაგან ყველაზე უფრო ცუდს მდგომარეობაში ყოფილა ქარხანა ავეტიქ ახნაზაროვისა და არტ. შაუმოვისა. ეს ქარხანა, ექიმის შემოწმებით, წარმოადგენს ფიცრებისაგან შეკონკილ საშინლად ბინძურ და ტალახიან ქოხს. საპონს ამზადებენ მაზუთის შემწეობით. სიბინძურისათვის მტკვრამდე უხეირო მილია გამართული, რის გამო ამ უბნის ჰაერი მოწამლულია. არც სტეფან მირზოევისა და სხვათა ქარხნებია სანუგეშო მდგომარეობაში. ტფილისის სასანიტარო სამკურნალო საბჭომ გუშინ წარუდგინა ამ ქარხნების შესახებ ცნობები ქალაქის გამგეობას, რომელსაც სთხოვს საპნის ქარხნები დაუქვემდებაროს იმავე წესებს, რომელიც მოითხოვა საგუბერნიო მთავრობამ ახალ ქარხნების გახსნის დროს; სთხოვა აგრეთვე, დაევალოს ზემოდ დასახელებულ ქარხნის პატრონებს გაასუფთაონ და მოაწყონ რიგიანად თავიანთი ქარხნები.

◆ შორაპნის მაზრის დ. საჩხერიდან გვატყობინებენ: ამ დღეებში ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფის, თავ. სიმონ წერეთლის შვილს უცაბედათ **რევოლვერი გაუვარდა** და ტყვია მოჰხვდა გვერდში წერეთლის ქვრივს კნ. ნინო წერეთლისას. დაჭრილი ქალი გაჰგზავნეს ქუთაისს თოფურიას საავადმყოფოში, სადაც იგი ოპერაციის დროს გარდაცვლილა.

◆ შორაპნის მაზრის სოფელ სვერიდან შემდეგ ამბავს გვატყობინებენ: ამ სოფელში მცხოვრებ აზ. ვლადიმერ ჯიბოს ძის წერეთლის უმცროსმა შვილმა ამ ორის დღის წინად კედლიდან თოფი ჩამოიღო და შინჯვა დაუწყო. თოფი უეცრად გავარდა და ტყვია იქვე მდგომ იმის რძალს ელ. ს. **წერეთლისას მოჰხვდა** ყბაში. ამ ჭრილობისაგან საწყალი ქალი მეორე დღესვე გარდაიცვალა.

◆ „ქართველთა შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ კავკავის **სკოლაში,** როგორც შევიტყეთ, შემოდგომიდან ორის მასწავლებლის ადგილი იქნება თავისუფალი.

◆ 19 ივნისს მარტყოფის მონასტრიდან ტფილისში ჩამოვიდა **საქართველოს ეგზარხოსი,** რომელიც ამ დღეებში ხელ-ახლა დაბრუნდება საზაფხულოდ მარტყოფში.

◆ როგორც იტყობინებიან, ქალაქის **მეორე ხორცის დუქანს** გახსნიან პირველ მკათათვეს. ეს დუქანი მოთავსებული იქნება კუკიაში მილოვის სახლში. სახლის პატრონს უკისრია სადგომის მოწყობა ხორცის დუქნისთვის ქალაქის ტეხნიკოსის ზედამხედველობით.

◆ დღეს, 21 ივნისისათვის, დანიშნული იყო კურთხევა ტფილისის სასულიერო **სემინარიის ახალ შენობის** საძირკვლისა, მაგრამ სხვა დროსათვის გადიდვა, რადგანაც ამშენებელი კომისია და იჯარადარი ჯერ საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ.

◆ ტფილისის საქველმოქმედო საავადმყოფოს ადმინისტრაციას შეუდგენია პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა საავადმყოფოს **ახალი შენობის ასაგებად.** ეხლანდელი სადგომები უნდა გაჰყიდონ და ახალი ააშენონ ავლაბარში სახელმწიფო მიწაზე, რომელიც ხაზინას დაუთმია. გამოანგარიშებით შენობა დაჯდება 65,000 მან. და ეხლანდელზე ბევრით მეტს საწყალს დაიტევს.

◆ ზურნაბადის ასაცრელ სადგურზე მოუმზადებიათ 10,000 კერძი **საქონლის ჭირის წინააღმდეგ სითხისა.** ეს სითხე გაუგზავნიათ ორს მაზრაში, სიღნაღისა და თიანეთისაში, სადაც, როგორც ამბობენ, გავრცელებულია საქონლის ჭირი.

◆ ქალაქის გამგეობა შეუდგა ამომრჩეველთა დასრულებული **სიების ბეჭდვას** პირველი უბნისას. სიების ბეჭვდა უნდა დასრულდეს 26 ივნისისათვის.

◆ 16 ივნისიდან ქალაქს გორში, ბლაღოჩ. ტატიშვილის თავმჯდომარეობით, გორის მაზრის სამღვდელოების დეპუტატებს სხდომები ჰქონიათ. დეპუტატებს, სხვათა შორის, გარდაუწყვეტიათ, გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად ნამყოფის, ამ ჟამად ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის მიხეილ დობრონრავოვის პატივ-საცემად დააწესონ გორის სასულიერო სასწავლებელში იმის სახელზე ერთი სტიპენდია. ამას გარდა 18 ივნისს, სამღვდელოებას ბ-ნ დობრონრავოვისათვის გორში გაუმართავთ სადილი, რომლის დროსაც ადრესიც გადაუციათ.

◆ გუშინ, 20 ივნისს, ტფილისის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მაისისთვის ანგარიში ქალაქის მთავარ სამკურნალოსი და იმის განყოფილებებისა. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, მთავარ სამკურნალოში მაისის თვის განმავლობაში ავადმყოფი ყოფილა სულ 2610 კაცი, ავლაბრის განყოფილებაში-661, ხარფუხისაში—440 და კუკიისაში—717. ამ ავად მყოფებს ქალაქის სამკურნალოებისთვის მიუმართავთ სულ 10.681-ჯერ. თვის განმავლობაში გაუციათ წამალი 11,896 რეცეპტით. სადეზინფექციო სადგურში დეზინფექცია გაუკეთებიათ 6721 ძველ ტანისამოსებისათვის და 43 ფუთ სხვა და სხვა ნივთისათვის.

◆ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო უფროსს ზედამხედველს ალიხანოვს კითხვა აღუძრავს, რომ ნიკოლოზის მოედანზე სასწორი გააუქმონ და იმის ნაცვლად პატარ-პატარა შენობები ააშენონ ბაზრისათვის, სადაც გაიყიდება სანოვაგე-სურსათი, ყოველ გვარი ხილი და მწვანილეულობა.

◆ საქალაქო მიწის მზომელის, აწ გარდაცვალებულის, ნაცვლიშვილის ქვრივმა ამ დღეებში ფულით დახმარება სთხოვა ქალაქის გამგეობას. გამგეობამ გუშინ წინ განიხილა ეს განცხადება და გარდასწყვიტა, უარი გამოუცხადოს ნაცვლიშვილისას.

◆ 19 ივნისს, სალამოს $8^1/_2$ საათზე, შემდეგი ამბავი მოხდა: სამხედრო მუზეუმთან მეეტლეს მიჰყავდა ეტლით ერთი სტუდენტი. რაღაც მიზეზისა გამო, ცხენები დაფრთხნენ და ისე გაიქცნენ, რომ „ტფ. ფურცლის“ რედაქციის პირდაპირ ჯერ სტუდენტი გადმოაგდეს ეტლიდან, შემდეგ თვით მეეტლეც, რომელიც ცხენებს ქვეშ მოჰყვა და ძალიან დაშავდა. ცხენები ისე დაფრთხენ, რომ ვერავინ გაბედა იმათი შეჩერება. ბოლოს საარტისტო საზოგადოების სახლთან უეცრად ვიღაც გიმნაზიელი ჩახტა ეტლში, მოავლო ხელი სადავეებს და ისე ყოჩაღად შეაჩერა ცხენები, რომ გამვლელ-გამომვლელთ მოსალოდნელი უბედურება ააშორა. მეეტლე პოლიციაში წაიყვანეს და იქიდან მიხეილის საავადმყოფოში.

◆ მიხეილის ქუჩაზე, მადერის სახლში მცხოვრებ სიღნაღის მოქალაქეს გერასიმ ბუტიევის ბინაზე 19 ივნისს შემდეგი ამბავი მოხდა: შინ არავინ ყოფილა, ნაშუადღევის ორს საათზე, როცა ცოლთან ერთად ბუტიევი დაბრუნებულა შინ და კარები გაუღია, დაუნახავს, რომ ერთს ოთახში კომოდსა და შკაფს შიგნიდან ცეცხლი უკიდია და იწვის. მოუშველებიათ მეეზოვე და ცეცხლი ჩაუქრიათ. როცა სახლი გაუჩხრეკიათ, უნახავთ, რომ ვიღაც ბოროტ გამზრახველს გაუტეხია ფულის ყუთი, გამოუღია იქიდან 147 მან., ბანკის მომგებიანი ბილეთი 520 მან., ვერცხლისა და ოქროს ნივთები 262 მან. და სადღაც მიმალულა. ამ ბოროტ-მოქმედებაში ბუტიევმა ეჭვი მიიტანა თავის მოსამსახურეს სარდიონ ხვედელიანზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

◆ ექიმის ივანე იგიტიანცის ბინაზე კახეთის ქუჩაზე ჯალალოვის სახლებში შეპარულა განჯის გუბერნიის, ყაზახის მაზრის მცხოვრები ვოსკან აკოფას ძე კაჰაროვი იმ დროს, როცა შინ არავინ ყოფილა; იგიტიანცის კაბინეტში კაჰაროვს გაუტეხია ყუთი, სადაც შენახული ყოფილა 680 მ. და ფასიანი ქაღალდები სულ 8.000 მანეთისა. კაჰაროვს წაუღია 680 მან. და 80 მანეთის თამასუქი და გაპარულა.

რუსეთის ქრონიკა

◆ წელს შემოდგომაზე პეტერბურგში დაარსდება ახალის ტიპის პოლიტეხნიკუმი, სადაც სხვა ტეხნიკურ საგნებსა გარდა ასწავლიან საფინანსო და საეკონომიო საგნებსაც. პირველ წელს მიიღებენ მხოლოდ 265 მოსწავლეს, აქედან 120 კაცი საეკონომო და საფინანსო განყოფილებაზე მიიღება. სასწავლებელში მიღების დროს უპირატესობა ექმნება იმათ, რომელთაც იურიდიული ფაკულტეტი აქვთ დამთავრებული. ასეთებს მომავალ წლებში, როცა უფროსი კურსები გაიხსნება, მესამე კურსზედაც მიიღებენ.

◆ პეტერბურგში არსებობს საარხეოლოგიო ინსტიტუტი. სასწავლებელს აზრად ისა აქვს, მოამზადოს მცოდნე კაცები სხვა-და-სხვა ძველ საისტორიო მასალების შესასწავლად. მოსწავლეებს, რათა წაახალისონ, ყოველნაირ შეღავათსა და უპირატესობას აძლევენ: უნივერსიტეტში დამთავრებულთ ლექციების გადასახადიდან ანთავისუფლებენ და სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიან. იმათაც შეუძლიანთ ჩაეწერნენ ინსტიტუტში, ვისაც გიმნაზია არა აქვთ დამთავრებული, მხოლოდ თავისუფალ მაყურებლად. ამათთვის 30 მანეთია წლიწადში ლექციების გადასახადი, მაგრამ ღარიბებს ანთავისუფლებენ. საგნების შესწავლა ინსტიტუტში შეიძლება ორ-წელიწადს.—სწავლა დამთავრებულთ ინსტიტუტი აძლევს მოწმობას, რომ მათ შეუძლიანთ სხვა-და-სხვა არხეოლოგიურ გამოკვლევაში მონაწილეობა და თანამშრომლობა მიიღონ. ამას გარდა დამთავრებულთ ინსტიტუტის გამგენი წარუდგენენ სხვა-და-სხვა დაწესებულებას, სადაც არხეოლოგიისა და არხივების ცოდნაა საჭირონი. ამ სასწავლებელში დღემდე არც ერთი ქართველი არ შესულა.

ფელეტონი

ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც ისტორიული ტიპი.

III *)

როდესაც კაცი მომავალთან მაინც რამე კავშირსა გრძნობს, მაშინ ისე ობლად აღარ იქნება, როგორც ბ—ლი იყო. ბ—ლისთვის მომავალიც გამოუცნობელი იყო და აწმყოც, არც ერთთან და არც მეორესთან ის სულის თვისტომობას ვერა გრძნობდა. იმას ცხოვრების ალღო აღებული არა ჰქონდა; ისიც კი არ იცოდა, რა იყო ყურადღების ღირსი და რა არა, სად უნდა მომხდარიყო ის ცვლილება, რომლის ნიავსაც გრძნობდა კიდეც, თუმცა გამოურკვევლად; რას ნიშნავს, მაშ, თუ არ ახალ იმედებს, ჯერეთ უცნობთ, ის, რომ ბ—ლს ყოველ წუთს „ხმა იდუმალი“ ახალს რაღაცას უქადის და ამხნევებს მას სამუშაოდ ცხოვრების გამოსაცნობლად.

„ეძიე, ყრმაო, შენ ხვედრი შენი“,
ეუბნება ეს ხმა:
„ვინძლო იპოვო შენი საშველი“.

ბ—ლიც ეძებს თავისს ხვედრს, მაგრამ ამაოთ.

„მაგრამ მე ხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ,
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ“.
ასრულებს მგოსანი.

მართლაც და, როგორც დაიწყებს მგოსანი ამ საგანზე ფიქრს, როგორც დაიწყებს მუშაობას ცხოვრების ამოცანის ამოსაკითხად, მისი აზრები იფანტება, უფერულად, მქრალად იგლისება და ამიტომ ვერ ჰხვდება იმ ფოკუსს, სადაც შეკრებილია ცხოვრების ახალი სხივები, იმ ნასკვს, სადაც ცხოვრების ძარღვები თავს ერთად იყრიან. როდესაც მტკვრის ნაპირზე მწოლარე მგოსანი შორდება თავის ფიქრით ყოველ დღიურ ცხოვრებას, მტკვრის საიდუმლო დუდუნი ცხოვრების გამოურკვევლობას აგონებს

„და თვალნი ჰკრთიან შორად, შორად ცის დასავალსა“.

ამ ბუნებას თვალი ერთ ალაგას ვერ შეუჩერებია. საიდუმლოებით სავსე, იგი მთლად იზიდავს მას თავისაკენ და თვალიც მხოლოდ მის ზედა პირზე ჰკრთის, მტკვრის სიღრმეში ვერ ჩაუხედნია და ამიტომ არ შეუძლიან მისი საიდუმლოების გამოცნობა. ეგრევე მგოსნის ფიქრებიც აკვირდება ცხოვრებას; უფიქრდება მის აზრს, რომელიც მგოსნისთვის ისევე საიდუმლოებით არის მოცული, როგორც ეს ბუნება და აქაც გონება ჰკრთის ცხოვრების ზედა პირზე, ეხება ფართო ფილოსოფიურ განყენებულ კითხვებს და, რასაკვირველია, ვერც საკმაო პასუხს იძლევა და ვერც ცხოვრების ამოცანას ხვდება. ამიტომ ამ ლექსის მკითხველი სრულიად დაუკმაყოფილებელი რჩება. მართლაც და მგოსანი კითხვას ასე სვამს:

მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული ალუსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს
და, რაც მიიღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს.

შემდეგ ჩამოსთვლის მაგალითებს; ამბობს, რომ თვით უძლეველი მეფეებიც გაუმაძღარნი არიანო და კეთილი მეფეებიცაო და დასძენს:

მაგრამ, თუ ერთხელ სოფელს უნდა ბოლო მოუღოს,
მაშინ ვინღა სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს.

ასე მიიყვანა ბ—ლი ამ კითხვამ ცხოვრების ამაოების რწმენამდის, მაგრამ ამ გადაწყვეტილებისა თვით ბ—ლს შუჰშინებია და მაზედ ვერ შეჩერებულა. მას უგრძვნია, რომ მისი ცხოვრებისათვის მოწოდებული არსება კითხვის ასე გადაწყვეტას ვერ აიტანს, უცებ უკუქცეულა და სრულიად სხვანაირად ათავებს ლექსს:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს.

ეტყობა აქ ბ—ლს ვაახსენდა, რომ მისი მოწოდება განყენებული კითხვების გადაწყვეტა არ არის, რომ ამ კითხვებზე მას აქვს კიდეც მზათ პასუხი. რასაც ეძებს კი იმ კითხვას ვერ ჰპოვებს, იმის აზრთა ფრენას ფრთა ეკვეცება... იგი სინამდვილეს უბრუნდება და... რჩება ისევ მარტო თავის გამოურკვეველ კითხვებით, სრულიათ დაუკმაყოფილებელი. შემდეგში ის უწინდებურათ ეძებს თავის ცხოვრების მიზანს, თავის ვარსკვლავს, განსხვავება მხოლოთ ის არის, რომ შემდეგში უფრო გულ-გატეხილია და როდესაც.

ამოხდა მნათი აღმოსავალს მზეებრ ცხოველი
მცირითა შუქით გადუყარა ცასა ღრუბელი
დიდ-სამწუხარო, საავდარო და მეც (ბ—ლსა)
„გლახ-გული
მსწრაფლ განმითენა, შავბედისგან დაღამებული“

მგოსანი, ცოტა იმედ-მოცემული, შენატრის ამ მნათს.

ნუთუ აღმიჩნდი ცხოვრებისა ჩემის მნათობლათ?
ნუ თუ შენ ჰფინო შვების ლხინი ჩემ გულსა კვალათ?

მგოსანს კვლავ აღეძვრის სურვილი.

„დავმღერდე იმ დროს, როს ვარსკვლავი მშვენიერის ცით
„მინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით
„მოვთქვამდე თუ ვით მიეფარა იგი მსწრაფლ ღრუბელს,
„ბოლოს ვუმღერდე მისსა შუქსა შვების მომფენელს“.

მგოსანს აქ იმედი ეძლევა, რომ ამოდენი ტანჯვა ბოლოს ფუჭათ არ ჩაუვლის და მხოლოთ სასიამო მოგონებათ და გადაექცევა, მაგრამ იგი ბოლომდის ასე იმედის მაძიებლათა რჩება. ბ—ლს მოსვენება არ ეღირსა. ბრძოლაში კი იმდენათ გამოფოლადდა, რომ იგი მას აღარ აშინებდა. მგოსანი ენერგიით აღიჭურვა, იმან გადასწყვიტა, მუდამ ასე ებრძოლა, თუნდ უნაყოფოც რომ ყოფილიყო ეს ბრძოლა. თავის გამოურკვეველი მომავლისა მას აღარ ეშინიან

„რას მრისხანებ, ჩემო ბედის ვარსკვლავო?
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირათა მკლავო.
შეეჭვია სული შენსა მოღრუბლვას,
შეეთვისა გული სევდითა კრთოლვას.
ნუ გგონია, ბედსა მით დამიმწარებ,
რომ უეცრათ ბუქით ნისლს მოიფარებ...
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,
როს მიბუტუტით ნისლით გამომინათებ.

IV

ამ გვარად ბევრს ილვწოდა ბ—ლი ცხოვრების აზრის გამოსარკვევლად, მაგრამ იმისი

---

*) დასასრული.—იხ. „ცნობ. ფურ“. № 1843

პრესსა

ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველთ, რომ „პეტერბ. ვედომოსტ“-ში ბ-ნმა ომ—მა დაიწყო წერილები ქართველების შესახებ. წარსულს წერილში წინასიტყვაობა და ზოგიერთი საზოგადო მოსაზრება იყო; ახლა (№ 159) ბ-ნი ომ—ი სწერს ქართულ ენის დაცვის საჭიროების შესახებ. ყოველი ენა უნდა დავიცვათო, ამბობს პატივცემული ავტორი, მით უმეტეს ისეთი მშვენიერი და მდიდარი ენა, როგორიც ქართულია და რომელზედაც მრავალ რიცხოვანი ხალხი ლაპარაკობსო.

თუ დღეს ქართულ ენას დაქვეითება ეტყობა, სწერს ავტორი, თუ თვით ქართველნი კარგად ვერ ლაპარაკობენ სამშობლო ენაზე, ეს მხოლოდ იმიტომ უმთავრესად, რომ ადგილობრივ როგორც საშუალო, ისე, დაბალ სკოლიდან სრულიად განდევნილია ქართული ენა და ქართული ლიტერატურა. ადგილობრივ სკოლაში სწავლა დამთავრებულმა ქართველებმა არ იციან რიგიანად არც სამშობლო ენაზე ლაპარაკი და არც ლიტერატურულად წერა. თავიანთ ლიტერატურის კორიფეებზე, რომელთა გაცნობაც უცხოელთათვისაც არ იქნება მეტი, საშუალო სკოლის მოსწავლეთ ამიერ-კავკასიაში უმეტეს ნაწილად არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. საზოგადოდ ახალგაზდობა ისე მწიფდება და ასაკდება, რომ თითქმის არაფერი უწყის თავის ლიტერატურისა. მერე, განა სასურველია, რომ სწავლა-განათლების საქმეში დევნილ და უკუგდებულ იქმნას გონებით სიმდიდრე ხალხისა—ლიტერატურა? ჩვენის აზრით, იმისი მიზეზი, რომ ადგილობრივ საშუალო სკოლაში ქართულის ენის სწავლების საქმე კარგად არ არის დაყენებული, რაღაც დაუდევრობა და უყურადღებობაა, რომელიც უეჭველად თავიდან აცილებულ უნდა იქმნას. მართლა და, ნუ თუ ხალხის გონებით სიმდიდრის შენახვასა და იმის საშვილიშვილოდ გადაცემას (ეს-კი სკოლას შეუძლია მხოლოდ) სეპარატიზმი მოსდევს? ენის შენახვა და იმის საშვილიშვილოდ გადაცემა ხომ საუკუნოებით შექმნილ კულტურის შენახვაა? ამ მოსაზრებათა გამო უეჭველად საჭიროა, რომ ადგილობრივ საშუალო სკოლის კურსში შეტანილ იქმნას ქართულის ენისა და ლიტერატურის სწავლება. ამასთან ეს საქმე რაც შეიძლება კარგად უნდა მოეწყოს: ქართულის ენის მასწავლებლებლად უნდა მიიწვიონ მცირე ჯამაგირიანი უვიცი მასწავლებელნი კი არა, არამედ ქართველი მწიგნობარნი, რომელთაც ჯამაგირიც კარგი უნდა დაენიშნოთ. ამით ქართველ ხალხში მოვიპოვებთ მეტ თანაგრძნობასა და სიყვარულს რუსულ ლიტერატურისა და ხალხის მიმართ, რადგანაც სხვას პატივსა სცემს ისა, ვისაც თავისი უყვარს.

ბ-ნ ომ.—ის მიერ აღძრული კითხვა არ ახალია, ძველია; ხსენებულ საჭიროების არსებობა არავის არ მიაჩნია საეჭვოდ.

⁂

ახირებულ წერილებს წააწყდებით ხანდახან გაზეთებში! „პეტერბ. ვედომ.“-ს უკანასკნელ №-ში მოთავსებულია ვრცელი წერილი მღვდლის ტ. ჩერკასკისა, რომელიც გაცხარებით ამტკიცებს—მღვდლებმაც უნდა იცოდნენ უცხო ენებიო. ვინმე უცხოელმა რომ წაიკითხოს ეს წერილი, უთუოდ გაჰკვირდება: ნუ-თუ ამას ვინმე ეჭვობს რუსეთშიო?.. მღვდელი-ავტორი ძალიან სცდილობს, რაც შეიძლება უკეთ დაასაბუთოს თავისი აზრი და რაც შეიძლება მეტი დამამტკიცებელი გარემოება აღნიშნოს იმისა, რომ სასულიერო პირთათვისაც საჭიროა ახალის უცხო ენების ცოდნა. უცხოელის გაოცება უადგილო იქნება, რადგან, სამწუხაროდ, ისეთს ჭეშმარიტებასაც დამტკიცება უნდა, რომ კარგი იქნება სემინარიებშიაც ასწავლონ ფრანგულიცა და გერმანულიც, თუნდ იმიტომ, რომ სულიერი მამა ღრმად განათლებული უნდა იყოს...

თეატრი

კავკავი. კვირას, 16 ივნისს, ქალაქის თეატრის დარბაზში ბ-ნმა კუხიანიძემ თავის ხოროთი ქართული კონცერტი გამართა. კონცერტის წინ ითამაშეს ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი გუნიასი „მონადირე“. როგორც ვოდევილმა, ისე კონცერტმა ჩინებულად ჩაიარა. სიმღერები მშვენივრად შეასრულა ხორომ. ზოგიერთი სიმღერა რამდენჯერმე გაამეორებინეს. საზოგადოება ძალიან ნაკლებად დაესწრო კონცერტს.

ბ-ნი მ. ს. კუხიანიძე ყოველ წლობით ჰმართავს ხოლმე კავკავში ქართულ კონცერტს. ეს ერთად-ერთი კაცია ჩრდილო კავკასიაში, რომელიც ყოველ წლობით ატკბობს აქაურ ქართველებს სამშობლო სიმღერებით. კონცერტებს ჰმართავს სხვა ქალაქებშიაც, სადაც ქართველები სცხოვრობენ. სწორედ მადლობის ღირსია ეს ახალგაზდა მომღერალი. სამწუხაროდ, ხალხი ნაკლებად დაესწრო კონცერტს.

დაბა-სოფლები

სოფ. ხეთა (ზუგდიდის მაზრა). 12 ივნისს, ღამის 10 საათზედ, ბოროტ-მოქმედნი დაეცნენ გლეხის ბაძალა გვაჯაიას სახლს. ავაზაკებმა კარები გატეხეს და ისე შევარდნენ სახლში. დაიჭირეს სახლის პატრონი და უბრძანეს, მოგვეცი რაც რამ გაბადია: ფული, ნივთები და სხვათ, ამასთან რევოლვერების სროლაც დაიწყეს. საწყალმა გლეხმა, ძალზე შეშინებულმა, ჯერ 100 მანეთი გადასცა ავაზაკებს. შემდეგ 20 მანეთი გამოუტანა. არც ეს იკმარეს ავაზაკებმა: შენ, ვიცით, 450 მანეთი გაქვს, სულ ერთად გამოიტანეო, უთხრეს. როდესაც უარი მიიღეს, თვით დაუწყეს სახლს ჩხრეკა და 10 მანეთი კიდევ იპოვნეს. ჩხრეკის დროს ჰნახეს ლოგინში მწოლარე 16 წლის ვაჟი გვაჯაიასი, გამოიყვანეს აივანში, სადაც ერთმა ავაზაკმა დაახალა რევოლვერი და მძიმედ დასჭრა. მერე მოუყარეს თავი ტანისამოსს, ფეხსაცმელს და სხვა ნივთებს და ნახევარის ვერსის მანძილზე თვით გვაჯაიას წაადებინეს. როდესაც ავაზაკები წავიდნენ, გვაჯაიას სახლში „სტრაჟნიკები“ გაჩნდნენ. იმათთვის გვაჯაიას ძმას შეეტყობინებინა. „სტრაჟნიკებმა“ ბევრი სდიეს და ეძებეს, მაგრამ ავაზაკები ვერსად იპოვნეს.

მუნჩიელი

წერილი გურიიდან

პარკის ვაჭრები.—მოსავალი.—ქურდობა-ავაზაკობა.

ეკონომიურად მიძინებულ-მოდუნებული ცხოვრება ცოტად გამოაცოცხლა პარკის კარგმა მოსავალმა. წელს საზოგადოდ გურიაში ძრიელ ცოტა ჰყავდათ აბრეშუმის ჭია, მაგრამ რაც იყო, ყველა სადი გამოვიდა და პარკიც მოლოდინზე მეტი დარჩა. ფასი პირველ ხნებში 10—12 მან. იყო ქ. ოზურგეთში, ხოლო ხიდისთავსა, ჩოხატაურსა, ნაგომარსა და ლანჩხუთში—12—14 მ. ეს ამბავი ყველას გვაოცებდა, მაგრამ მიზეზი მაინც ვერ გამოგვერკვია. ბევრი „მეპარკე“ (მრეწველია) სიშორეს არ დაერიდა, პარკი ოზურგეთ გარეთ წაიღო, რათა ცოტა მეტი აეღო, მაგრამ ვერ იქნა, „შუბი ხალთაში ვერ დამალეს“ და ხალხმაც გაიგო ყოველი. ოზურგელ მალა გაღვიძებულ პარკის ვაჭართ (რაკი „შუამავლის“ დიდი შიში არა ჰქონდათ) შეჰკრეს პირობა, მაგრამ მათი პირობა ქაღალდზე დარჩა დაწერილი, და მაშასადამე, არა კანონიერი. პირობის ერთი მუხლი თურმე ასე დადგებს: „ვინც 12 მანეთზე მეტს მისცემს, მას დაეკარგოს ამხანაგობაში „ზალოგად“ დადებული 200 მანეთიო“.

ერთ მშვენიერ საღამოს ერთი ერთგული წევრი „შეჯდა რაშზე“, რათა მიმოევლო და დაეზვერა არე-მარე, რომ ციხე შიგნიდან არ გატეხილიყო. ეს ვაჟბატონი მიადგა ოზურგეთიდან 3—ვერსტზე მდებარე დვაბზუს სოფლის დუქანს, სადაც ვაჭარი საკომისიოდ პარკს ყიდულობდა 13 მანეთად. ახალი დროის დონკიხოტი მივარდა ვაჭარს და დაუწყო უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება.—როგორ ბედავ, შე „ვაზიმართო“, რომ ასე ძვირად ყიდულობ; ჩამოთრიე ოზურგეთში და მაგ ფასად მაგაზე უკეთესს პარკს ჩვენ მოგცემთო. ამ სცენას შეესწრო ერთი ფხიზელი ახალგაზრდა და მოახსენა „სოვდაგარს“.—ბატონო, სარდიონ! თქვენ რა გენაღვლებათ, რომ ერთ-ორ კაპეიკს გამორჩნენ საცოდავი სოფლის ქალები; თქვენ ხომ ამით არაფერს ზარალობთო. სარდიონი ამ უმაწვილის გაბედულობამ მოთმინებიდან გამოიყვანა და ერთი ორი ამ უმაწვილსაც შეუკურთხა, რისთვისაც იქვე თავისი რაშიდან გადმოაბრძანეს და მშვენიერი სილა უთავაზეს. დაბრუნდა ეს ვაჟბატონი ოზურგეთში და იმ საღამოსვე სინდიკატი დაირღვა, მეორე დილას ფასმა აიწია ორის მანეთით და ეხლა 14—15 მანეთამდე იყიდება. „შუამავალიც“ გაფაციცებით ყიდულობს. თუმცა კერძო ვაჭრები აფრთხობენ პარკის გამყიდველთ სხვადა-სხვა ხრიკებით, მაგრამ უმეტესობა მაინც შუამავალს ეტანება. სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ ბევრი კერძო კაცი ხელს უწყობს ამხანაგობის გამობრუნებას.

ამინდი გურიაში ეს ორი თვე სრულდება მშვენიერია, როგორც ყანას ისე ვენახსაც ჯერ-ჯერობით მშვენიერი პირი უჩანს, თუ აწ არაფერმა დააბრკოლა, იქნება ამდენი გაჭირვების შემდეგ ცოტათი სული მოვითქვათ.

ცარცვა-გლეჯას, არ იქნა და არა, ბოლო არ მოეღო. რაკი ამდენ ავაზაკობაში არც ერთი ავაზაკი აღმოჩენილი არ იქმნა, მცარცველნი მეტად გათამამდნენ; დღე არ გაივლის ისე, რომ ახალი საგმირო საქმე არ მოხდეს. აი კვირას, 16 ივნისს, იმ ადგილას, სადაც წითელ პარასკევს ავაზაკები დილიჟანს დახვდნენ ნასაკირალზე, დაუხვდნენ ეტლით მიმავალს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს მ. კაჟარაძეს, რომელსაც სამკურნალოდ ცოლი მიჰყავდა, წაართვეს 700 მანეთამდე ფულად და ყოველივე ბარგი-ბარხანა. იმ დღესვე გასცარცვეს ერთი სოფლელიც შეიარაღებული ახალგაზდა, რომელსაც ყოველივე იარაღი წაართვეს. ამ უმაწვილს ბოქაულისაგან თურმე წერილები მოჰქონდა. ასე წარმოიდგინეთ, ეს კონვერტებიც კი დაჩხრიკეს, იქნება ფული იყოსო. ამის შემდეგ არხეინად ტყეს მიეფარნენ. წარსულ დღეებშივე ლიხაურის საზოგადოებაში გასტეხეს დუქანი, წაიღეს ყოველივე და მედუქნეს ბავშვიც თან წაიყვანეს. ამავე საზოგადოებაში ს. ქაქუთას ერთ მედუქნეს დაუწვეს დუქანი. სოფ. დვაბზუს 4 ადგილს დაბურღეს დუქანი, მაგრამ გატეხა ვერ მოასწრეს: მედუქნემ გაუგო; როგორც გადმოგვცეს, ჩოხატაურის საბოქაულოში დაბრუნებულა სამი კაცი ციმბირიდან: თუ იმათ ფირალობა დაიწყეს, აი კარგი დრო მაშინ დაგვიდგება.

ინომიშ.

წერილი შუა ქართლიდან

სკოლების სიმცირე.—გლეხის დავალიანება და გაჭირვება.—ოსების გადასახლება და ბეგარა

შუა ქართლში დიდი სიძვირეა სკოლებისა. არც საკვირველია: თვით გლეხნი არიან ბევრგან წინააღმდეგნი სკოლების დაარსებისა. ყველა ამას გაიძახის: სადა სცალიან ჩემს შვილს სკოლაში სასიარულოდ? ბავშმა საქონელს უნდა მოუაროს და სხვა საქმეშიაც დამეხმაროს; სკოლისათვის ვერ გავიმეტებთ. ამას გარდა გლეხს ძალიან აშინებს სკოლის ხარჯი. მღვდელს გაუძღვე, ერს, მამასახლის, თუ სკოლასაო, ამბობს მალ-მალ გლეხი. ხშირად დიდი მეცადინეობა უნდა, რომ ამა თუ იმ სოფელს სკოლა დაარსებინოს კაცმა. მახსოვს, ამ ხუთის წლის წინად ადგილობრივი მეთვალყურე მთელი ორი-სამი წელიწადი ეცადა, ვიდრე სოფ. ავნევში სკოლას დააარსებდა.

გლეხობა, ჩარჩ-ვაჭრების წყალობით, ვახში და ვალში იხრჩობა. გლეხს ვერ ნახავთ, რომ ვალი

ცდა მაინც ფუჭად დარჩა. ხან იმედით ივსებოდა ბ—ლი, ხან სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, მაგრამ ცხოვრება ისევ გამოუცნობელი დარჩა. ბოლოს ბ—ლი ამ ბრძოლას ისე შეეთვისა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ბრძოლათ დაისახა. თუმცა იმედი სამუდამოდ გაუცრუვდა, თუმცა გამამხნევებელი „ხმა იდუმალი“ გადაექცა „ბოროტ სულათ“, რომელიც თვით ჯოჯოხეთს სამოთხედ უსახავდა, რომელიც ბედნიერებას ჰპირდებოდა და სიცოცხლე კი გაუმწარა, მაგრამ რწმენა მომავლისა და მისთვის ბრძოლის ნაყოფიერებისა მას არ დაჰკარგვია და ამიტომ მას ბოლომდის შერჩა მხნეობა. ამიტომაც შემდეგ მისი ლექსები ორ გვარია. ერთში სჩანს მისი იმედის დაკარგვა, მისი ობლობა და მეორეში კი მისი მოუდრეკელი ხასიათი, მუდამ მედგარი ბრძოლისათვის გამზადებული. პირველთა ჯგუფს, სხვათა შორის, ეკუთვნის ლექსნი: „ვპოვე ტაძარი“ და „დამქროლა ქარმან“. პირველი არის სურათი მრთელი ბ—ლის ცხოვრებისა. ბ—ლი ობლათ, მწირათ დაიბადა. ქვეყანაზე მას სულის ტოლი არავინა ჰყავდა, და იპოვა ტაძარი, უდაბნოთ მდგარი, სადაც

ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი.
ანგელოსთაგან იკვროდა იქ დავითის ქნარი
და განისმოდა ციურ დასთა გალობის ზარი.

იმ ტაძრისაკენ მიაშურა მგოსანმა თავ-შესაფარად.

„იქ გუნდრუკის წილ შევწირავდი წმიდა სიყვარულს“,
ამბობს მგოსანი,
„რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს,
„ამა სიამით, ნეტარებით ესრეთ აღვსებულს,
„მეგონა, ვხედავ სასუფეველს, იქ დაშენებულს“

ასეთმა ნეტარებამ დიდხანს არ გასტანა. განჰქრა ტაძარი და უდაბნო მდუმარებს.

„დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი გამქრალი“.

დასძენს ბ—ლი და ასე ათავებს ლექსებს:

„ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი
და დავალ ობლად, ისევ მწირი მიუსაფარი“.

ბ—ლმა იცოცხლა 29 წლამდის. უკანასკნელ წლებში ის ისე ახალგაზრდა აღარ იყო, რომ ჯერ კიდევ მისი აზრები გამოურკვეველი ყოფილიყო. რაკი აქამდის ვერ გაიკვლია მან მომავლისკენ გზა, ამას იქით გვიან-ღა იყო. აი ამით აიხსნება ის, რომ სრული სასოწარკვეთილება ბ—ლისა მის უკანასკნელ დროს ეკუთვნის. ახალ-გაზრდობის დროს დაწერილ ლექსებში ცოტა მაინც იმედი გამოსჭვივის. უკანასკნელ წლებში კი იმედი სასოწირკვეთილებად და ბრძოლად ეცვლება, როგორც უკვე ვთქვით ზემოდ. ბრძოლის ხანა დაუდგა ბ—ლს და ამ ბრძოლის დროს წარსული ახალგაზრდობის მოგონებანი, როდესაც მას ჯერ იმედები არ დაჰკარგოდა, მას სიამოვნებას ჰგვრიან, როგორც სჩანს ამ ლექსში.

დამქროლა ქარმან სასტიკმან,
თან წარმიტაცა ყვავილი
მაცხოვლებელი სიცოცხლის
სიხარულითა აღვსილი.
იგი ნიადაგ ციურთა
ცვართაგან იყო ნამილი
დრომ უკამურმა აწ ცრემლით
შესვარა მისი ადგილი.
აწცა თუ სადმე ვიხილავ
მის ფურცელს, მისსა დანაჰკნობს,
მოძულებული სიცოცხლე
მყისვე კვალადცა დამატკბობს.

მეორე ჯგუფის ლექსებს, ე. ი. იმ ჯგუფისას, რომელშიც ბ—ლი არის მხოლოთ მებრძოლი, ეკუთნის „სულო ბოროტო“ და გვირგვინი ბ—ლის ლექსებისა, სინტეზი მისი იმედებისა დ ყოყმანისა, ლექსი: „ჩემს მერანს“. ეს ლექსი არის დასასრული აკკორდი ბ—ლის ლექსებისა. იქ მგოსანი გადაწყვეტით აღიარებს, რომ მას ყოველივე იმედი დაკარგული აქვს ცხოვრების ალღოს აღებისა. მხოლოთ თავის კეთილ მისწრაფებათ არ უარჰყოფს ის. მისი ბრძოლისათვის თავ-განწირვა აქ უმაღლეს წერტილამდის მიდის. აქ სჩანს მისი გაუტეხავი გული, მისი მხნე ხასიათი და მედგარი სულის ძალა. მრთელი სიცოცხლეც ბ—ლისა, რომელსაც ბედისაგან წილათ ჰხვდა ცხოვრება ამ გამოურკვეველ დროს და მასთან ერთათ სიკვდილი, თითქოს იმიტომ, რომ ვერ ენახა ის განთიადი, რომელსაც ის ელტვოდა, არის ერთი საუკეთესო ფურცელთაგანი საქართველოს ისტორიიდან, ერთი საუკეთესო მაგალითთაგანი იმისი, თუ როგორ შეუძლიან ქართველს ბრძოლა ცხოვრების შეგნებისათვის, ცოდნისა და ნათელისათვის. ამ მხრივ ბარათაშვილს შეიძლება მსოფლიო ტიპი ვუწოდოთ. ასე თუ შევხედავთ ბ—ლის ცხოვრებას, მაშინ ავცდებით იმ გვარ კრიტიკას, რომელიც ცდილობს ჩვენი მწერალი უეჭველათ ამა თუ იმ ევროპიულ სკოლას აკუთვნოს, თითქოს ჩვენ საკუთარი ისტორია და ცხოვრება არა გვქონოდეს. მსგავსების პოვნა შეიძლება, მაგრამ ერთი საზომავით ზომა კი მეტის მეტი შაბლონური გამოვა. ბ—ლიც წააგავს ბაირონს და იმის სკოლას კი არ ეკუთნის, რადგანაც ის რამდენათმე ბოლომდის რომანტიკათ რჩება. მას ბოლომდის სწამს ის, რისთვისაც იბრძვის, უკანასკნელ წუთებამდის სწამს განთიადის ახლოობა და, თუმცა იმის წინამორბედ ვარსკვლავს ვერა ჰხედავს, მაგრამ მაინც მისკენ მიიბრძვის, რომ თავის მოძმეს ბრძოლის მაგალითი მაინც აჩვენოს, თუ განთიადს ვერ დაანახვებს. ამ უკანასკნელმა ცდამ ბ—ლს ფუჭათაც არ ჩაუარა. ყოველივე ის კითხვები, რაც მას უჩინრათ აღელვებდნენ, იყვნენ აღძრული და რამდენათმე მაინც გამორკვეული მესამოცე წლებში. სწორეთ ამ დროს უნდა ვუწოდოთ ის განთიადი, რომელსაც ბ—ლი მთელი თავისი სიცოცხლე ეტრფოდა. ბ—ლს საუკეთესოთ აუსრულდა თავისი ნატვრა:

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
სალამოს მიტომ ჩავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.
მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს ამოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.

ამ გვარათ, თუმცა ბარათაშვილის „მოკვდავ ენას“ არ ძალ ედვა, „უკვდავი გრძნობების გამოთქმა“, მაგრამ სამაგიეროთ ძალ-ედვა შემდეგი თაობის ენა აელაპარაკებინა ამ „უკვდავი გრძნობების“ გამოსათქმელად.

განნარიძე

არ ემართოს. ვენახები ხომ ყველას დაგირავებული აქვს. ძნელი მოსალოდნელია, გლეხმა თავისით დააღწიოს თავი ჩარჩებს და ვალები მოიშოროს. გლეხთა გაღარიბება-გაღატაკებას ისიც უწყობს ხელს, რომ შვილს მამასთან ვეღარ უცხოვრნია და ძმას ძმასთან. წამოიჩიტება თუ არა შვილი, მამას ეუბნება: მომეცი ჩემი ნაწილი, ცალკე უნდა ვიცხოვროთ. ბევრჯელ დაბერებულ-დაჩაჩანაკებულ დედ-მამას შვილები ულუკმა პუროდ და უნუგეშოდ სტოვებენ. არ შეგვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ გლეხის გამწარება და გაბოროტება. ათას ნაირ შეწუხება-შევიწროებასთან გაბოროტებული გლეხი მთელ თავისს ჯავრს უენო პირუტყვზე ყრილობს. არა მგონია, სხვაგან სადმე ისე უდიერად და შეუბრალებლად ექცეოდნენ საქონელს, როგორც ქართლში.

ამ ბოლოს დროს ოსებს ფრონის ხეობაში გული აღარ უდგებათ. ეს ოსები გადასახლების გზას დაადგნენ: ზოგი კახეთში მიდის, ზოგი კავკასიის მთებში. ერთის წლის წინად გაზეთებმა გვამცნეს, რომ მთავრობას აზრადა აქვს ბეგარის ნაცვლად ფული გააწეროსო. ბევრად უკეთესი იქნება, ასეთი წესი რომ შემოიღონ. მისაღებია მხედველობაში ისიც, რომ ბეგარაზე, გზის საკეთებლად, გლეხი გაზაფხულსა და ზაფხულში გაჰყავთ, როდესაც ცხარე მუშაობაა და როდესაც გლეხი მთელის ზამთრის სარჩოს იმზადებს.

გ. ფრონისპირელი

უცხოეთის წვრილი ამბები

თორმეტი ცოლი! ეხლ ხან ნიუ-იორკში ერთი ქალი მეექვსედ გათხოვდა.

ამ ჟამად კიდევ ერთი ამ ქალის მხრის კაცი აღმოჩნდა, ექიმი ჯემს ზავა, რომელსაც 1830 წლიდან თორმეტჯერ შეურთავს ცოლი და არც ერთისაგან შვილი არ მისცემია.

ეხლა ექიმ ზავს, რომელიც 99 წლისაა, უკანასკნელი—მეთორმეტე—ცოლიც მოუკვდა. ბოლოს გადასწყვიტა, აღარ შევირთავ ცოლსაო.

აი ესეთი მრევლი უნდა ჰყავნდეთ ჩვენებურ ღვდლებს, რომ სული მოითქვან ამდენის ცალკე ჯვარის დაწერით და ცალკე კვდრების მარხვით!..

* *

კორესპონდენტის გამჭრიახობა. ყველანი გაჰკვირდნენ, გაზეთმა „დაილ ტელეგრაფმა“ საიდან გაიგო ბურების და ინგლისელების შერიგება, რომ ყველაზე ადრე დაბეჭდაო.

ამ გაზეთის კორესპონდენტმა, რომელიც ტრანსვალში იყო, შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა რედაქტორს:

„საუკეთესო წინად-ნიშნებია ჴსამების დღესასწაულისა“.

ეს დეპეშა რომ წაიკითხა, რედაქტორი მიხვდა, რომ კორესპონდენტს უხმარია „დაბადების“ სიტყვები და უთუოდ ამის მიზეზი არის რამეო. მოუძებნია დაბადებაში ის ადგილი, სადაც მოხსენებულია „სული წმიდნის მოფენის დღე“, სადაც ამოუკითხავს: „მე თქვენ მოგიტანთ მშვიდობას“. რედაქტორი უცბად მიხვდა ამ სიტყვების აზრს და თავის გაზეთში გამოაცხადა ბურების და ინგლისელების შერიგება.

* *

პარიზელი სტუდენტი განსაცდელში. პარიზის ერთს სასტუმროში ოთახი ეჭირა ერთს სტუდენტს. სტუდენტი ძალიან მოქეიფე ბიჭი იყო და მთელ ღამეებს ქეიფში ატარებდა, ხოლო დღისით იძინებდა. მაგრამ ბოლო დროს მოსვენებით ვერ იძინებდა, რადგანაც იმის გვერდით ოთახი დაიჭირა ერთმა ოქრომჭედელმა ცოლით. ოქრომჭედლის ცოლი ბებერი იყო და საშინელი ეჭვიანი. ცოლ-ქმარნი მუდამ ჩხუბობდნენ, ერთი ღრიანცელი ჰქონდათ, და საბრალო სტუდენტს ვერ აძინებდნენ. ამ დღეებში მოთმინებიდან გამოსული სტუდენტი წამოხტა ლოგინიდან დ თითქმის დედიშობილა შეუვარდა მეზობლებს ოთახში და დაუწყო ლანძღვა.

ოქრომჭედელმა ჯერ დამშვიდებით აუხსნა სტუდენტს, რომ იმას ნება არა აქვს, ხმა მაღლა ლაპარაკი დაუშალოს დღე თავის ოთახში.. შემდეგ უცბად რაღამაც გაუელვა თავში. უცბად გარედ გამოვარდა და კარები გადაუკეტა თავის მეუღლეს და ნახევრად ტიტველ სტუდენტს. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა ოქრომჭედელი და თან პოლიციელები და მოწმები მოიყვანა.

— მე ჩემს ცოლს მოვასწარი აი ამ ყმაწვილ კაცთან. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ მაგის ტანსაცმელს. გთხოვთ, ოქმი შეადგინოთ, რადგანაც საქმეს ვიწყობ, რომ ცოლს გავეყარო.

ბევრი ეცადა სტუდენტი, საქმე გამოერკვია, მაგრამ ვერას გახდა. ოქმი შეაყენეს და საბრალო სტუდენტი ხათაბალაში გაახვიეს. შემდეგ ის წავიდა პარიზის მთავარ-ბრალმდებელთან, დაწვრილებით აუხსნა საქმის გარემოება, მაგრამ ბრალმდებელმა უპასუხა, რომ არაფრით შველა არ შეუძლიან, რადგანაც კანონისგან ნაჩვენები გამამტყუვნებელი საბუთები ყველა ნათლადა სჩანსო.

აი ამაზე იტყვიან: აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გაჭყლიტესო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ივნისი

ლონდონი. გერმანელთა ახალშენმა იოჰანესბურგში დიდი მეგობრობა განუცხადა ინგლისის მეფეს და ტრანსვაალის ახლანდელს მთავრობას. ლორდ მილნერმა წარმოსთქვა, რომ მას სჯერა გერმანელთა დახმარება.

ჰააგა. გერმანია—ნიდერლანდიის კონვენცია კაბელის შესახებ (ზღვის ტელეგრაფი) ზემო პალატამ მიიღო.

კონსტანტინეპოლი. პიტილში შეტაკება მოხდა ბულგარიის ბრბოსი ოსმალეთის რაზმთან. ბრბოს ნახევარი გაიქცა, ნახევარს გარს შემოერტყნენ.

ლონდონი. ვაშინგტონიდან მოსულის ცნობებით, ამერიკის მთავრობა თანახმაა ჩინეთის ელჩის აზრისა, რომ ჩინეთის მთავრობას ნება აქვს მოითხოვოს მეტი სამართლიანობა ტიანცზინის კითხვის შესახებ.

ლონდონი. მეფემ მშვენივრად გაატარა ღამე; სრულიად რჩება; იარა უმთელდება.

ბელგრადი. რადგანაც დაამთავრეს ახალი-იახტა, რომელიც ქალაქის საზოგადოებასა სურს მიართვას საჩუქარად მეფე-დედოფალს, ამის გამო სასახლეში სადილი გაიმართა. მეფემ სიტყვა წარმოსთქვა და სიხარული განაცხადა, რომ მოულოდნელისა და შემთხვევათა პოლიტიკამ ადგილი დაუთმო საფუძვლიან პოლიტიკას. ფირმილიანის კურთხევა ერთი დიდი ნაბიჯთაგანია, იმას მოჰყვება ფინანსიურის და ეკონომიურის მდგომარეობის განმტკიცება.

პარიზი. გაზეთები იხსენიებენ რუსეთის მთავრობის ახალს ზომებს ტეხნიური განათლების გასავრცელებლად და რწმენით ამბობენ, რომ საქმის მოთავეობა ეკუთვნის ფინანსთა მინისტრს ვიტტესსაო.

ჰელსინგფორსი. სამხედრო გემი „სკატუდენი“ მიეგება საფრანგეთის სამოსწავლო გემს. შეხვედრის დროს მარსელიეზა დაუკრეს.

პეტერბურგი. 18 ივნისს საზღვარ გარედ გაემგზავრა პრინცი კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგელი.

დღეს, 19 ივნისს, პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში, მისი უდიდებულესობის კირასირებმა, პოლკის ორასი წლის შესრულების გამო, გადაიხადეს პანაშვიდი პოლკის განსვენებულთა დამაარსებლის და შეფების სულის მოსახსენიებლად.

20 ივნისი

პეკინი. ივლისში შესატან სამხედრო საზღაურის გადახდაზე ჩინეთი უარს ამბობს, თუ ამ გადასახადს იმ კურსით არ მიიღებენ, რა კურსიც იყო ვექსილებზე 1901 წლის 1-ლ აპრილს. ამის მეზეზად იმას ასახელებენ, რომ შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირა ჩინეთის ამ გვარ მოთხოვნილებას

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 14 ივნისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10	
ბერლინზე 100 მარკაში	46,02½	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96¾	მყიდვ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	98¾	„
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356¾	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287¼	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	85⅝	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	89¼	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	170	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37⁵⁰ ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ხანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

განცხადებანი

ახალი წიგნი

ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ ივნისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 4 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

გაზეთ „ცნობის ფურცელის“ ცალკე ნომერი ღირს ყველა გამყიდველებთან 3 კაპ., სურათებიანი დამატებით 5 კაპ.

გამოვიდა და იყიდება

ახალი წიგნი

„ზღაპრები“

ექვსი ხალხური ზღაპარი ა. მრევლიშვილის მიერ დასურათებული, მშვენიერ ქაღალდზედ დაბეჭდილი და გოგიაშვილის მიერ დასურათებულის ყდით.

ფასი ერთი მანეთი.

იყიდება ქ. შ. წ. კ. გ. საზ. მაღაზიაში და გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში.

(5—5)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. კალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679.

(0—39)

Дозволено цензурою Тифлисъ, 20 Іюня 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტ-მბ. წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.